



მესამე სათვეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა.....	2
საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია.....	5



პროგრამის სახელწოდება

კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა
Clinical and Translational Medicine

საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:</p> <p>ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დიპლომირებულ მედიკოსს • დიპლომირებულ სტომატოლოგს • საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს; <p>ბ) ბიოლოგიის მაგისტრს (იმ შემთხვევაში თუ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულია ბიო-სამედიცინო პროფილის ფუნდამენტური და/ან ტრანსლაციური კვლევითი თემატიკა);</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.</p>
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	მედიცინის დოქტორი Doctor of Medicine
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	სასწავლო კომპონენტი - 60
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი და თსუ მედიცინის ფაკულტეტთან აფილირებული სამედიცინო დაწესებულებები
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	მედიცინის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროფესორი დიმიტრი კორძაია, პროგრამის ხელმძღვანელი

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	
პროგრამის მიზანი	
<p>მედიცინის დარგში აკადემიური სფეროს და კლინიკური მედიცინის დასაქმების ბაზრებისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება;</p> <p>მაღალი ხარისხის მკვლევარისა და აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების მომზადება, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს მედიცინის სფეროში მიმდინარე პროცესების მაღალი ხარისხის კვლევა და ანალიზი, სამომავლო ტენდენციების გამოვლენა, ახალი სამეცნიერო იდეებისა და პრაქტიკული ინოვაციების შემუშავება, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნების გაკეთება, ცოდნის გენერაცია, ტრანსფორმაცია და ტრანსლაცია.</p>	
სწავლის მეთოდები	
<p>სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, ასევე კვლევითი კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერბალური მეთოდი, • დემონსტრირება/პრეზენტაცია, • დისკუსია/დებატი, • შემთხვევის გარჩევა (ანალიზი) (Case study), • ჯგუფური მუშაობა (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), • ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები და სხვ. <p>სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები - 1-ელ და მე-2 სამეცნიერო პროექტებში.</p>	
შეფასების პროცედურები	
<p>სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.</p> <p>სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p>	

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული შეძლებს:

გამოავლინოს დარგის სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

გამოავლინოს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;

გამოავლინოს კონკრეტულ დარგში მედიცინის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ისეთი ღრმა, ფუნდამენტური ცოდნა თეორიულ, კლინიკურ და ექსპერიმენტულ მედიცინაში (არჩეული მიმართულების შესაბამისად), რომელიც, თავის მხრივ, ამ ცოდნის შემდგომი გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარების საშუალებას იძლევა;

უნარები

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და კონტროლს, რის საფუძველზე შეიქმნება ისეთი ახალი ცოდნა, რომელიც გარდაისახება მაღალრეიტინგულ გამოცემებში პუბლიკაციაში (ადიარებული იქნება ექსპერტთა [„რევიუერთა“] მიერ).
 - დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვას და საკუთარი მოსაზრების დაცვას;
 - მედიცინის შესაბამის დარგში სასწავლო კურსების მომზადება და სწავლებას;
 - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის საფუძველზეც მოახდენს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობას, პრობლემების გადასაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას;
 - მედიცინაში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენას; საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატური პოლემიკის წარმართვას როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.
 - კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნის, ასევე, რთული და სადავო ინფორმაციის ეფექტურ გადაცემას როგორც სპეციალისტების, ისე სტუდენტებისათვის და არასპეციალისტებისათვის, ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით;
 - თანამშრომლობას მედიცინის სხვა დარგების, ასევე სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან - ინტერდისციპლინური კვლევის დროს;
 - ცოდნის ბანკის განახლებას არსებული ცოდნის ხელახლა გააზრების და გადაფასების გზით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული ახალი ცოდნის საფუძველზე ;
- საკუთარი ცოდნისა და უნარების შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო რესურსების და საშუალებების განსაზღვრას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული შეძლებს:

- მეცნიერებაში ძირითად ეთიკურ ღირებულებათა, ასევე, ამ ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობი ფაქტორების ცოდნის საფუძველზე

- ინოვაციური მიზეზების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მზაობას;
- არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სოციალურად და ეთიკურად მისაღები სამეცნიერო მოსაზრებების ჩამოაყალიბებას
 - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნისა და იდეების გააზრებასა და დასწავლას (ცოდნაში გადატანის), ასევე სხვისთვის გადაცემას, რასაც ეფექტურად იყენებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.
 - მედიცინაში არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და დიალექტიკური გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერებას.

დასაქმების სფეროები:

სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სფეროები.

პროგრამის სახელწოდება

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია
Public Health and Epidemiology

საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა: დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი; უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე და გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Public Health)
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	სასწავლო კომპონენტი - 60
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი და თსუ მედიცინის ფაკულტეტთან აფილირებული სამედიცინო დაწესებულებები
პროგრამის განმახორციელებელი	მედიცინის ფაკულტეტი

ერთეული	
საკონტაქტო პირი	პროფესორი პაატა იმნაძე, პროგრამის ხელმძღვანელი
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	
პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ ეყრდობა თსუ მისიას და მიზნებს და თავის მხრივ მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ: ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირების გზით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში კვლევების ჩატარებას და სწავლების უზრუნველყოფას, აქტუალური საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას საზოგადოებრივ ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.
სწავლის მეთოდები	ლექცია, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, სემინარები, დისკუსია, დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შეხვედრები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა მეთოდები. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების პროცედურები	(D) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (E) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (F) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- კრიტიკულად გაანალიზოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის გამოწვევები და გადაჭრის გზები.
- შექმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, არსებული ცოდნის გაფართოებისა და ასევე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში.
- გამოავლინოს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

უნარები

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს საზოგადოებრივი ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომები;
- შეაფასოს საზოგადოებრივ ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის;
- გარკვევით წარმოაჩინოს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნა და მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეეძლება:

განახორციელოს დამოუკიდებლად ინოვაციურობის დემონსტრირებით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტი აკადემიური კეთილსინდისიერების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეთიკის პრინციპების დაცვით.

დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ დასაქმდნენ სახელმწიფო ან კერძო სექტორში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის საკითხებზე ფოკუსირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, კვლევით ორგანიზაციებში, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.